საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს
გენერალური დირექტორი

KA990157465192318

№02/72 **20 / დეკემბერი / 2018 წ.**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტებისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე

საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე, 53-ე მუხლების, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული 2015 წლის 30 ოქტომბრის №02 ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირველი მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1.მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი ამ ბრძანების დანართში მითითებულ ობიექტებს.

2.დაევალოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო სისტემების სამსახურს ამ ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების ძეგლთა სახელმწიფო რეესტრში ასახვა.

3.დაევალოს სააგენტოს იურიდიულ სამსახურს ამ ბრძანების ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინტერნეტგვერდზე ასახვის მიზნით შესაბამისი ღონისძიების განხორციელება.

4.ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ.№52) .

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გენერალური დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

პაატა გაფრინდაშვილი

2018 წლის 20 დეკემბრის
N02/72 ბრძანების დანართი N1

№	ფოტო	სახელწოდება	ადგილმდებარეობა	სახეობა	თარიღი
1.		გორელოვკის №1 სკოლა	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფ. გორელოვკა (ს/კ 65.13.32.367) (დანართ N2-ში მითითებულ საზღვრებში)	არქიტექტურის	1903 წელი
2.		ნიკო ბურის სასახლე	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. მუხრანი (ს/კ 72. 09.18. 050)	არქიტექტურის / მემორიალური	XIX საუკუნის II ნახევარი
3.		წმ. სოფიოს საეკლესიო კომპლექსი	ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. პირველი მაისი (GPS კოორდ. 0736015, 4693637)	არქიტექტურის	XVII საუკუნე
4.		ხეთის წმ. მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია	ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხეთა, სასაფლაოზე (GPS კოორდ. 734902, 4694146	არქიტექტურის	შუა საუკუნეები, გადაკეთებული 1885 წელს

5.		წმ. გიორგის სახელობის ეკლესია	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვერტყვიჭალა (GPS კოორდ. 42 06 44, 43 19 29)	არქიტექტურის	XIX საუკუნე

გორელოვკის №*1* სკოლა
შენობის კულტურული თვალსაზრისით ღირებული ნაწილი, რომელსაც ენიჭება კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი